დოკ. №: 2304-151 ▪ თარიღი: 09.04.2023

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ***ქ. თბილისი, ქუჩა გორგასალი, N36*** ▪ *ს/კ:* ***01.18.09.005.005***
მესაკუთრე: ***შპს "საგზაო კრწანისი"*** ▪ *ფართობი:* ***984 მ²*** ▪ *შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა:* ***8***

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2023 წლის 7 აპრილს, ქ. თბილისში, გორგასალის ქუჩის N36 მისამართზე, შპს "საგზაო კრწანისის" საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.18.09.005.005 მიწის ნაკვეთზე, 8 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 8 მერქნიანი მცენარიდან ყველა არის ჯანსაღი. მათ შორის:

- 4 ხილკენკროვანი - 1 ბროწეული (Punica granatum) N 3; 3 ვაზი (Vitis vinifera) NN 1, 2, 4
- 1 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი - 1 არღავანი (Cercis siliquastrum) N 8
- 3 მაღალი ღირებულების ფოთლოვანი - 3 კავკასიური აკაკი (Celtis caucasica) NN 5, 6, 7

2. გადარგვადი მცენარეები. გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, არახილკენკროვანი სახეობებიდან გადარგვას შეიძლება დაექვემდებაროს 4 შეფასებული მცენარე - 1 არღავანი (Cercis siliquastrum) N 8 და 3 კავკასიური აკაკი (Celtis caucasica) NN 5, 6, 7. მათი დიამეტრი არის 25 სმ-ზე ნაკლები.

მცენარეთა მახასიათებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ვაზი (Vitis vinifera)	6.1			საღი/ ხილკენკრ.
2	ვაზი (Vitis vinifera)	10.2			საღი/ ხილკენკრ.
3	ბროწეული (Punica granatum)	13.4	7.6	4.0	საღი/ ხილკენკრ.
4	ვაზი (Vitis vinifera)	7.3			საღი/ ხილკენკრ.
5	აკაკი (Celtis caucasica)	8-12		4.5	საღი/ გადარგვადი
6	აკაკი (Celtis caucasica)	4-8		3.0	საღი/ გადარგვადი
7	აკაკი (Celtis caucasica)	4-8		3.0	საღი/ გადარგვადო
8	არღავანი (Cercis siliquastrum)	4-8		3.0	საღი/ გადარგვადი

წინამდებარე დოკუმენტს დანართად ახლავს მცენარეთა ფოტოსურათები.

ექსპერტი: ლევან გოშაძე (01008013049)

შემსრულებელი:
შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com
(+995) 593 18 18 70

შპს "დემასო ვუდ 1" * DEMASO WOOD 1 LTD * 400331716



№1



№2



№3



№4



№5



№6



№7



№8